ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 84

ქალაქი ქუთაისი 29 ივნისი 2022 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის № 22 საჯარო სკოლისათვის“ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის, ნესტორ გოქაძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის, „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის № 22 საჯარო სკოლის“ პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 2 სექტემბრის № 7 ოქმისა და ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს 2021 წლის 7 სექტემბრის №10 ოქმის საფუძველზე:

მუხლი 1. გაიცეს თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №22 საჯარო სკოლისათვის“ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის, ნესტორ გოქაძის სახელის მინიჭების თაობაზე.

მუხლი 2. წინამდებარე განკარგულება გაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ქალაქ ქუთაისის N22 საჯარო სკოლის“ სამეურვეო საბჭოს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო • საქართველო